



# სასოფლო განვითარები

გაზეთის ფასი:

აგზავნით ტფილისში	ბაჟგზავნელათ:
გარეშე ადგილებში:	მან.
რთის წლისა — 4 მან.	— 3
სხვრის წლისა — 3 — 2	
ამის თვისა — 1 ა. 50 კ. — 1 ა.	

## მოჩე წელიცადი

ბამოლის შაბათობით.

ბეჭის-მოწერა მიღება:

ტფილისი „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, თ. ბებუთოვის სახლში, პალიცის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთავების ადგენი: ვა. თიფლის, ვ. კონტორი რედაქციი „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

შევლ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტონში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

№ 14. შაბათი.

II.

ლ.

1869 წ.

### შინაგანი ცნობი:

შინაგანი ცნობები. სამეცნიერო ნაწილი.— შორაპნილან.— სამეურნეო ცნობები.— საექი- მო ცნობები.— სხვა და სხვა ამბები.— საგარე- ცნობები— საბიბლიოგრაფო ცნობა.—

### შინაგანი ცნობები.

გაზ. „მაკაზში“ სწერენ: „ამ ცოტა ხანში ჩვენ ვიყავთ აქაურ უცხო ქვეყნის ცხოვე- ლების და მცენარეების მოსაზენებელ (აკადე- მიტიზაციის) ბალში; ერთს ადგილს ამ ბალში ვნახეთ, რომ მრავალი ხევი თხელი ძაფის ბადით იყო დაფარული; ჩვენ გვეგონა, რომ ეს ხილის ხევი უნდა იყოს და ბადე ჩამოუ- ცვიათ იმიტომ, რომ წვრილმა ფრინველებმა ხილი არ შექამოს, მაგრამ კარგათ რო დავა- კვირდით, ვიცანით, რომ ესენი იყვნენ აი- ლანტის ხევი რომლის ფურცლითაც არჩე- ნენ აილანტის აბრეშუმის ჭიას. მას ჭია მოუშენებია აქ ბალის გამართ- ელს უ. სიტოვესის და დიდი იძელი აქცა, რომ ის ივარებს. მებალემ მიგვიყვანა ჩვენ ერთს აილანტის ხესთან და ახალა იმას ბადე; ჩვენ ვნახეთ აუზებელი მოწითალო ნეკის რდენა აბრეშუმის ჭიები, რომლებიც დასეო- დნენ ამ ხის ფოთლებსა და სჭამნენ; ზოგი- ერთი ამ ჭიებთაგანი კიდევაც პარკში გამო- ხვეულიყვნენ. მებალემ გვითხრა, რომ ეს ჭი- ები რთახებში ვერ სძლებენ და მოკრეფილ

ფოთლებსაც ესენი იშვიათათ სჭამნო; გასაკვი- რველია, რომ ამას წინეთ რომ აქ სეტყვა და წვემები იყო, ამას ამ ჭიებისთვის ვერაფერი ვერ დაუკლია. ამ მებალემ გვითხრა ჩვენ სხ- ვათა შორის კიდევ, რომ შარშან უ. სიტოვ- სკიმ დაიბარა იტალიიდან მუ ხის აბრეშუ- მის ჭიის კვერცხებით; ამ კვერცხებიდან გა- მოდიან იმისთანა აბრეშუმის ჭიები, რომლებიც მუხის ფოთლებით შეიძლება არჩინოს კაცმა; მაგრამ კვერცხები გზაზედ გაფუჭებუ- ლან; გაის კიდევ უნდა გამოიწეროს სიტოვ- სკიმ ამ ნაირი ჭიები და უნდა გამოცადოს— ივარებენ ჩვენში ისინი, თუ არა.—

„ამას გარდა სიტოვესის მიუკია უ. სოხან- სკისათვის ზაქათალაში აბრეშუმის პარკები, რომლებიც სამზღვარს გარეთიდან იყო დაბა- რებული; ცოტაოდენი აქაურ ბოტანიკურ ბა- ლისთვისაც წაულიათ.“

ჩვენ უჩემდო, ეისაც უნდა და ეჭირვება ხეირიანი აბრეშუმის, ან ბოსტნეულობის მო- ყვანა მიმართონ ამ ბალს. ისინი გაიცნობენ აქ ბევრს იმისთანა რამებს, რომლებიც ძა- ლიან გამოსადეგი იქმნება მათთვის ოჯახო- ბაში. რიგიანათ აბრეშუმის მოვლის დასწავ- ლა მაინც ძალიან საჭიროა ეხლა ჩვენთვის, რაღაც ამ უკანასკნელ ღროში ხშირო პედ- ბიან ხოლმე ჭიები.—

მრთს გაზეთში იწერებიან ცოტიდან: ამ ა- ლო ხანში აქ დიდს მუშაობას შეუგნენ— ქა- ლაქის გასაკეთებელათ; ცოტი უნდა მო- ამზადონ იმ დროსთვინ, როცა იმას დიდი მნი-

შენელობა ექმნება, ესე იგი, როცა იმასა და თბილისს შუა რკინის გზა გაიმართება.— პომ- ბისაში, რომელიც დანიშნულია პავისის ნამესტნიკისაგან ქალაქის გასაშენებელად და პორტის გასაკეთებლად და რომლის თავ- მჯდომარედ არის თ. სეიატოპოლკ-მირსკი, არი- ან შემდგომი პირები: ზრაფი ლევაშოვი, დ. ს. ს. ნორისელსკი, ინჯინერის პოლკოვნიკე- ბი: ზარსევანოვი, პოლიბინი, შავროვი, ქა- ლაქის ნახალნიკი ს. ხ. ლაზარევიჩი და ინ- ჯინერი ბელლი; თავიანთ სხდომებში შუთა- ისში ამ კომისიამ გასინჯა შემდგომი კითხ- ვები:

1) პარარჩიეს ადგილი ცოტის რკინის ხი- დისათვის, რომელიც უნდა გაკეთდეს ისე, რომ ყოველთვის გემების გასაშენებად იმის გახსნა. შეიძლებოდეს.

2) დამტკიცეს პაროექტი, რომლითაც რი- ნის ჩრდილოეთის ტოტი უნდა შეაგუბონ. სამხრეთის ტოტი გაკეთდება ზღვის პორტად.

3) განიზრახეს ქალაქს ზევით, რიონსა და პალიასტომს შუა, არხის გაყვანა, ნაეებისა და პატარა პარაზოდებისათვის და აგრეთვე ტბე- ბის გასაშენდად; ეს უკანასკნელი უკეცველია დიდად მოუხდება ხალხის ჯანმთელობასაც და ციება შემდეგ ასე აღარ იქმნება გახშირე- ბული.—

4) უნდა ამოწმინდონ, ნადარჩის პატარა წყალი, რომელიც 17 ვერსზეა ცოტი ზემო, იმიტომ რომ მაშინ ადვილად შეიძლება ზე- ერთვის ამ პატარა წყლით რიონისა და პალია- სტომის.

5) არხი უნდა გაიყენონ პალიასტომსა და ზღვის შუა, ამიტომ რომ მაშინ ადვილად შეიძლება გაწმენდა ტბის წყლისა, რომელიც აქმდისინ ძლიერ ახშირებდა შოთში ცივებას.—

სოფელს პატარძეულში (ტფილისის უეზდში) წრეულს ძალიან ცუდი მოსავალია: პური ძალიან ცოტა მოსულა; თავეს ისე გადუჭამია, რომ მანამ თავთავი მოიწევოდა ნახევრის ნახევარი ძლიერ გადაჩენილა. ასე ამბობენ პატარძეულში ნამყოფნი, რომ ვისაც ადრე ორმოცი კოდი მოსვლია, წრეულს ათი კოდი ვერ დაუდებათ. ვენახებში თუმცა ყურძენი ძალიან კარგი მოსულა, მაგრამ მეტაც დაუნაცრაეს.

ამ ემათ პატარძეულის გლეხები დიდს გაჭირებაში არიან და თითქმის პური აღარა აქვთ საჭმელათ. შეტრომწვანეს და ხილულს ეტანებიან. ამათ ბედზე ტყის მოსავალი კარგია და იმის ხილი შევებას აძლევს. ზამთარში კი ლმერთა იცის რა გარემოებაში იქნება სოფლის ხალხი. იქნება რომ შიმშილი ჩამოვარდეს, ეს იმიტომ არ არის საკვირველი, რომ აქაური გლეხები ძალიან დარიბები არიან; თითქმის ტანთ არ აკრამთ მთელი ჩახა და ძონძებში არიან გახვეულები.

გარეშემო საგარეჯოს სოფლებში უფრო კარგი მოსავალია პურისა და ყურძნისა, რომელიც ისე არ არის დანაცრული. მაგრამ იქნება მოსავალი იმდენი არ იყოს, რომ სხვა სოფლებს მოაწოდონ.

— მუთასის სამხედრო ღუბერნატორმა-გრაფ ლევაშოვი გაუგზავნა ამ წლის 30 მაისს შემდეგი მიწერილობა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩეუმის უეზდის ნახალნიკებს: «სოხუმის სამხედრო განყოფილობის მმართველია (1526 წომრით) მაცნობა, რომ ამ ცოტა ხანში მართირის მაზრაში გარდმოდიანო მეგრელები, რომელთაც აქვთ ადგილობრივი მთავრობისაგან მოწმობა აფხაზეთში გადასახლებისათვის; ის იქრება, რომ, რადგან აფხაზეთში ცოტადა დარჩენილა დაუკავებელნი ადგილები და რაც დარჩა, ისიც იქაურ უმიწა-წყლო მცხოვრებლებს მოუნდება, ამისთვის მე მივწერ მაზრების უფროსებს, რომ დაბრუნდონ უკანვე ამისთან გარდმოსახლოებულები და ჩაბარონ ისინი

თავიანთ უეზდის ნახალნიკებსაო; ამისთან სოხუმის სამხედრო მმართველი მთხოვს-ვალდებული გაეხადო უეზდის ნახალნიკები, რათა არ მისცენ მეგრელებს უფლება აფხაზეთში გარდასახლებისა.—

„ამის გამო ვაძლევ მიწერილობას უუზუგდიდის, სენაკის და ლეჩეუმის უეზდის ნახალნიკებს წარმომილგინონ მე შემდეგნი ცნობები: რისთვის, რამდენი მოწმობა და რამდენი მოსახლეს მიეცით თქვენ, უღუბერნიის მთავრობოთ აფხაზეთში გარდასახლების მოწმობა. შემდექში კი თქვენ უკითხავთ ამისთანა მოწმობაები არ მის ცეთ.—

მიხედენ, რომ ღურბინდონ დამართებულები შავ-შავი ლაქები, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მიდიან, მერე დაიმალებიან და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ჩნდებან დასავლეთიდან. აქედან სწავლულებმა გამოიყვანეს, რომ მზეც ისე უნდა ტრიალებდესო, როგორც ჩვინ დედამიწა და სხვა ზეციურნი მნათობი, ანუ პლანეტები.—

სწავლულები ამბობენ, რომ, თუმცა მზე ანათებს და ათბობს ყველაფერს, მაგრამ იქ არაფერს ცეცხლი არ უკიდა და არც თითონ იწვისო; ის იმდენ სითბოს და სინათლეს აძლევს მიწას და სხვა ზეციურ სხეულებს, რომ თითონ იმას რო ეკიდებოდეს ცეცხლი, ამდენ ხანს, თუმცა ის ძალიან დიდია სიცრუო, მაგრამ მაინც დაიწოდა.— სწავლულები ამნაირად ხსნიან მზის სითბოს: მზეს უფლიან გარეშემო, დიდს პლანეტებს გარდა, უურებელი პატარა ზეციური სხეულები, ანუ პლანეთები; ეს პატარა პლანეტები თავის-მოძრაობის დროს მიუახლოვდებიან ხოლმე მზეს, რომელიც მიზანი და ბოლოს ზედ დაცემიან; ერთი სიტყვით მზეზედაც ისე სცვივიან პატარ-პატარა ზეციური სხეულები, როგორც მიწაზე—მცვინავი ვარსკვლავები, ანუ აეროლიტები; (ამ საგანზე „სასოფლო გაზეთში“ იყო ცალკე საუბარი); განსხვავება მარტო რიცხვშია, ამბობენ სწავლულები: მიწაზე საზოგადოთ იშეიათათ სცვივიან ზეციურნი სხეულები და მზეზე კი მუდამ და ბევრი. თქვენ შენიშვნავდით ჩასკვირველია, რომ, როცა წალკოტი დაგიკრავთ ქვაზე, ის (ქვა) გახურებულა; ამ ნაირათვე ჰურდება მზეც, როცა იმაზე ეცემიან ზეციური სხეულები და ამ სიმხურეალით ათბობს დედა-მიწას და სხვა პლანებსაც.

სწავლულების გამოანგარიშებით დედა-მიწიდან მზემდი იქნება ას ორმოცი მილიონი ვერასი, ასე რომ მიწიდან გასრულილი თოვფის ტყვია რო მიაწევდეს მზემდი და უკანვე დაბრუნდებოდეს, ამას მოუნდებოდა ოცდასუთი წელიწადი. ამ სიშორეს ჩვენ ვერც წარმოვიდენთ.

სილიდით მზე ერთ მილლიონზე მეტაზერ უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი დედამიწა. სხვა ზეციური სხეულებიც, მაგალითათ, ვარსკვლავები, ძალიან დიდები არიან, მაგრამ ჩვენ კი პატარებათ გვეჩვენებიან, რადგან ძალიან მოშორებული არიან დედა-მიწაზე. სიშორეს გა-

თითონ მზე რო დატრიალობს, ამას იმით

მოისობით შეც ძალიან პატარათ გვეჩერება, თუმც ის, როგორც ზევითა ვთქვით, ბერით უდიდესია დედამიწაზე.—

ჩენ დედამიწას გარდა მზეს სხვა ბერი ზეციური სხეულებიც გარს უელიან; იმათაც ისე, როგორც ჩენს დედამიწას, ათბობს და ანათებს მზე, რადგან საკუთარი არც სითბო და არც სინათლე არა აქვთ იმათ.

რამდენი სიკეთე და სარგებლობა მოაქვს მზის შუქს ჩენთვის! წარმოიდგინეთ-რა იქნებოდა—მზე რო არ ანათებდეს და არ ათბობდეს თავის სხივებით დედა-მიწას? შიშისოთ მიწა ერთს დღესაც ვერ გასძლებდა. ვერაფერი მცენარე ვერ გაიხარებს უმზეოთ; თითქმის არც ერთს ცხოველს არ შეუძლია უიმისოთ გაძლება. აბა გამოსცადეთ—დარგავით რომელიმე ხე, ან სხვა რამ მცენარე იმისთანა აღილას, სადაც მზის შუქი ვერ მიეკარება იმას; თქვენ ნახათ, რომ ცოტა ხანს უკან ის ხე სრულებით გახმება; ბალანი კი გაიზდება, მაგრამ ვაი იმისთანა გაზრდასა; ის სწორეთ ჭლერქიანს ემგანება; რაღაც უფერული, უგემური და უვარებისი იქნება. შეელა შენიშნავდა, რომ ჩრდილოში მოყვანილ ხილეულს, ან ბოსტნეულს არასოდეს ხეირიანი არც გემო და არც ფერი აქვს. შენიშნულია, რომ თბილი ქვეყნის ცხოველები ყოველთვის უფრო ლამაზები, სხვა და სხვა ფეროვანები და უფრო დიდონებიც არიან, ვიღრე ცივისა; ამას გარდა თბილს ქვეყნებში ხილები, ბოსტნეულობა, მინდერის მოსავალი და სხვა ყოველთვის უმეტესია და უფრო გემრიალიცა.

ეს ყველაფერი მზის საქმეა და ამიტომაც არის ის დედამიწისთვის ისე საჭირო, როგორც, ვთქვათ, კაცისთვის ჰაერი, ან საჭმლი; როგორც კაცი ვერ გასძლებს უჰაეროთ და უსაჭმლოთ, ისე ვერც ერთი მცენარე, ვერც ერთი ცხოველი და მათთან კაციც ვერ გასძლებს უსინათლოთ და უსითხოთ, რომელიც წარმომდინარებენ მზისაგან.—

ს. 8.

### მორავიდან.

რამდენიმე სიტყვა ჭლერქიანის მოვლაზე იმერთის მდაბალ ხალხში.

დმერთმან გიხსნას, მკითხველო, ყოველი ავათმყოფებისაგან, განსაკუთრებით იმისთანა ავათმყოფობისაგან, როგორიც ჭლერქია; მაგ-

რამ, თუ უბედურებაშ მოაწია შენს თავზე და გახდი ჭლერქით არათ, მაშინ კი ყველაზე უფრო იმას უნდა ცდილობდე, რომ არ ჩავარდე იმისთანა მომელელებისა და ექმების ხელში, როგორიც იმერეთის მდაბალი ხალხია....

ჭლერქის სხეულებას იმერლები ეძახიან „ფილტვის ხელის“, „ცუდ ხელის“. აქ საზოგადოთ ისე არიან შეშინებული ამ სხეულებისაგან, რომ კიდევაც ეშინიან იმის სახელის ხსენება; და თუმცა ახსენეს, უსათუოთ ბოლოს უნდა დაუმატონ: „იქავ იყოს,“ ეს იყი, სადაც არის ჭლერქი, იქვე იყოს და აქ ჩენთან არ მოვიდეს!... მისაც ეს სხეულება სჭირს, ამბობენ იმერლები, მას გულში და ფილტვებში უჩნდება პატარა ჭიები, რომელნიც ბოლოს ფრთებს გაშოისხამენ და, თუ ის ამოუფრინდა სხეულს პირიდამ, და სხვა კაცს ჩაუფრინდა, მაშინ იმასაც ჭლერქი დამართებათ. ვერაფერი გზით ვერ დაარწმუნებოთ იმერლებს, რომ ისინი სცდებიან ამაში. საფუძველი მათის ჰაზრისა აი რა გახლავთ: ფილტვებით ავათმყოფს კაცს და განსაკუთრებით ჭლერქიანს, ყველამ იცის, რომ მკერდში უსისინებს და სხვა. და სხვა გვარი ხმა გამოუდის ყური რომ დაადგა მკერდზედ. ხანდიხან მოჰქმდება, რომ გულის ფრიალი მოუა ამ ნაირ ავათმყოფს, ასე რომ კაცს ჰერნია ჩიტმა გაიფართხალა ჩემს გულშიო. იმერლებს ჰერნიათ, რომ ეს ფრთიანი ჭიებისაგან არის; მაგრამ ეს სრულიად ტყუილი არის. ეს მოხდება ანუ სისხლის შეგუბებისაგან რომელიმე სასისხლე ძარღვში გულის სიახლოვეს, ანუ სხვა უბრალო მიზეზთაგან.

იმერლებს საზოგადოდ ყველა გადამდები სხეულების ძლიერ ეშინიან და ჭლერქის კი ყველაზე მომეტებულად \*). იმერლებს მისთვის უმეტესად ჰერნიათ, რომ ჭლერქი გადამდებია რომ ხშირად მთელი სახლობა, მთელი ოჯახობა იხოცებიან იმისაგან. ზამოცდილი ექიმები ამბობენ, რომ ეს გადამდებობისაგან კი არ არის შთამამაკლობით არისო. შეელამ იცის, რომ ჭლერქიან მშობლებს ჭლერქიანი შეილები დაებადებათ და იმისაგან დაიხოცებიან, თუ არაფერი საშუალება არ იხმარეს სხეულების წინააღმდეგ.

\*) აქ უნდა ვსთვეთ, რომ არა თუ მარტო იმერლებს აქვს ერთი ჰაზრი ჭლერქზედ, არამედ ზოგიერთ განათლებულ ხალხსაცა.

იმერეთში როგორც შანიშვნენ კასმე, რომ ახველებს და ჰედება, მომეტებულად უშიშროება მაგრამ ტანს კი არა ეტყობა-რა ჰამისი და, ხან ციებასაც დაწყებინებს, მაშინვე დარწმუნდებიან, რომ სნეული ავათ არის ფილტვის ხელით, ჭლერქით.

ეს სხეულება, ყველამ უნდა იცოდეს, ორგვარია, ერთი ჩამომავლობითი და მეორე ანუ ანთებისაგან, ანუ სხვა მიზეზისაგან გაუჩნდება ხოლმე კაცს. იმერეთის მდაბალი ხალხისათვის სულ ერთია, როგორიც გვარიც უნდა იყოს ეს სხეულება: სხეულის მორჩენაზედ იმათ ყოველთვის სასოება აქვთ მაინცა დაკარგული და არც არაფერ საშუალებას ჰემა-რობენ ამ ნაირი სნეულის მოსარჩენად.—როდესაც შანიშვნენ, რომ კაცს ჭლერქი უჩნდება, ცოტა ხანს არ გაუმხელენ იმას ავათ მყოფობის მიზეზს, მაგრამ დიდი და პატარა ისე შიშით უყურებს საწყალს ავათმყოფს-თითქო მგელი იყოს. ბოლოს ავათმყოფიც გაიგებს იმათ ქცევას და თვითონვე ურჩევს საწყალი განშორდენ მას, ან თვითონვე გაეცლება შინაურებს და დასაწოლ ბინას ცალკე მოუწყობენ. ვინ გამოთქვამს-რამდენ უბედურებას გამოსცდის საწყალი სნეული მარტო ყოფნაში.—შოველი კაცი მას ერიდება, როგორც ცოტიან ძალს; სასმელსა და საჭმელს მიუგდებენ კარზედ და თვითონ უნდა შეიტანოს სახლში; თუ თვითონ ვერ შეიძლებს სიარულს, მაშინ გრძელი ჯოხით მიაწვდენ. ბოლოს, რა საკირველია, სნეულებამაც რომ არ შოპლას, ამისთანა გაჭირვებული მდგომარეობა გადაიტანს მას თან და ასე უბედურათ დასრულდება ჭლერქით სნეულის სიცოცხლე. რამდენიმე ხნისა შემდეგ რომელიმე მონათესავე, დიდის გაბედვით, აიხვევს პირს, გამოიტანს მკედარს და დასაფლავებს. ის კარავი, რომელშიაც იყო საცოდავი სნეული, სრულიად ცეცხლს მიეცემა. ჭლერქით სნეულით სახლში გარდაეცალა, მაშინ იმ სახლს აღარავინ არ მიეკარება; უყურებენ პატარა ხანს, თუ შეატყევას ვისმედ და გაჰყიდეს, ხომ კარგი და თუ არა, მაშინ გრძელი ჯოხით მიაწვდენ. ბოლოს, რა საკირველია, სნეულებამაც რომ არ შოპლას, ამისთანა გაჭირვებული მდგომარეობა გადაიტანს მას თან და ასე უბედურათ დასრულდება ჭლერქით სნეულის სიცოცხლე.

შეელა ზევით მოხსენებული სიტყვების სიმართლეს ცხადათ წარმოუდგენს მკითხველს შემდეგი შემთხვევა, რომელიც მე თვითონ შემემთხვა.—მრთხელ მე სვირის უჩასტკაში

(“**მემო იმერეთში**”) მოვაზაურობდი და ერთ  
სახურავ-გარდაცდილი სახლი ვნახე; ყავრები და  
სხვა ამკეულება სახურავისა სულ გაფანტული  
იყო; მე ვიკითხე-რა დამართნია სახლს მეთქი  
და რადგან იმ ღროს ერთი უბრალო სახლი  
მინდოდა მეშოენა საღმე საყიდლად, ისიც ვი-  
კითხე გასასყიდია ეს სახლი, თუ არა. ამ კი-  
თხეაზე გაკვირებით შიპასუხეს ჩემმა თანამო-  
უზაურებმა: „**ბატონო, ვინ იქმნება გადარე-  
ული, რომ ეგ სახლი იყიდოს, ან დარღვევა  
გაძედოს**“. როცა მიზეზი ვკითხთ იმან მითხ-  
რა, რომ ამ სახლში, ბატონო, ჭლერქით მო-  
კედა პატრონიო და დაუმატა: „**ქვასა და ხეს  
ველაპარაკები, იქავ იყოს**... ბევრი ველაპა-  
რაკე იმ კაცს ჭლერქის სწეულებაზე; იმას  
ძლიერ გაუკეირდა ჩემი სჯა და ბოლოს სთ-  
ქვა „**ვხედავ, ბატონო, სულ უგუნურები ვყო-  
ფილებართ სოფლის კაცნი.**“

ასე მოქცევა იმერეთის მდაბალ ხალხში  
მარტო ჭლერქის დროს კი არა მუცელასა და  
სხვა გადამდები სწეულებაების დროსაც იცი-  
ან. —

\*) მუცელ-კეთილს მერლები ეძახიან კიდევ „სისხლის ყვანას“; ეს ის გარდამდები სნეულება არ არის, რომ მელსაც მწიმები ეძახიან „დაზენტრირიას.“

ვიტან იქავე ვხელამ—აღარ მიაქვთ; არ ვიცი  
რა დაემართათ, არ შეიძლება მინახოთ, თქ-  
ვენი ჭირიმე, ავათ-მყოფები?“ მე მაშინ გე ჩა-  
მოვეტი ცხენიდამ და წავედი ავათ-მყოფე-  
ბის სანახავათ. სახლში რო შევედი მისთანა  
სანახავი დავინახე, რომ ჩემს სიცოცხლეში  
არ მინახავს; იმ კაცის ცოლი მომკვდარიყო  
და პატარა ძუძუ-მწოვარი ბავშიც იქვე გვერ-  
დზედ ეგდო მკვდარი.... მიკერძო ძლიერ რათ  
არ მიაქცევენ ყურადღებას უზღდის ექიმები  
ამსთანა უბედურებას და არ მოეხმარებიან  
ხაოსს....

მაგრამ ამისთანა მოვლა კიდევ არაფერია!...  
მე გამიგონია, რომ ზემო იმერეთში იციან  
კიდევ ერთნაირი მოვლა ჭლერქიანი ავათ-  
მყოფებისა; არ დავიჯერებთ, რო ამ გვარი  
მოვლა, (თუ მეიძღება იმას მოვლა დავა-  
რქვათ) ყოველგან იცოდნენ იმერეთში; ამბო-  
ბენ რომ ამ ნაირი შემთხვევაში, თუმცა ძვი-  
რათ, ყოფილა ზემო-იმერეთშიო. მს მოვლა  
ძლიერ საადვილოა ავათ-მყოფის მომლელის-  
თვის, მაგრამ საშინელი ძნელი მისაღები ჭლე-  
რქიანი და საზოგადოთ ყველა ავათმყოფის-  
თვის.... აი რაში მდგომარეობს ეს მოვლა,  
ჩემთვე მკითხველო; როდესაც შანიშვნენ ვისმეტ  
ჭლერქის ფვისებებს, მაშინ გამოუტჩევენ იმას  
ბინას და მოსძებნიან კაცს, რომელიც ამ შე-  
მთხვევაში ხშირათ მიიღებს ხოლმე დიდ მო-  
ნაწილეობას; ის მოვა და შაურიგდება ავათ-  
მყოფის ნათესავებს დღეში ან მანეთათ და ან  
ორ მანეთად; ხარჯიც, რა საკვირველია, —  
კარგი უნდა უზიდონ ყოველოვის; როდესაც  
კარგა ბლომათ აიღებს ფულებს, მოითხოვს  
თორმე ცხრის ტყაისან და იმობტოს, ამ-

ლი რამე მოიმოქმედა; ის ფიქრობს, რომ უნ  
ნარი მაღლი ჰქონა: ერთი ცწულებული ცცულებული  
სხეულის მწუხარებისაგან ჭამისაფასისუტებული და  
მეორე ისა, რომ ერთი კაცის სიკედილით და-  
იფარა ასი სხვა რადგან პეპლები აღარ  
ამოუშვა სნეულის პირიდან და იქვე დაპირ-  
უა მკერდში; ასე რო არ ექნა, იმის ჰაზრით,  
სხვასაც ჩაუძერებოდა პირში იქიდამ ამოფრე-  
ნილი პეპლები!... მს აშპავები ძლიერ ფარუ-  
ლათ და საიდუმლოთ მოპჩდება თურმე იმე-  
რეთში: ამბობენ, რომ მომვლელი და ავათ-  
მყოფის მონათესავე ფიცით აძლევენ ერთი  
ერთმანერთს პირობას—არ გაიხილონ არ-  
სად.—აი როგორ თავდება საწყალი ჭლერ-  
ჭიანის სიცოცხლე ზოგიერთ იმერეთის გაუ-  
ნათლებელ ადგილებში.—

ამისთანა ამშავებს იმიტომ ვაცნობებ სა-  
ზოგადოებას, რომ მცოდნე კაცებმა იმათში  
მიაქციონ ამისთანა ბარბაროსაბას ყურადღე-  
ბა და ცხადათ და გასაგონი სიტყვებით აუხს-  
ნან მდაბალ ხალხს—თუ რა სწეულება არის  
ჭლერქი, გარდამდება ის, თუ არა, ან ერთი  
შთამაგალობისაგან როგორ გარდადის მეო-  
რეხედ. ამას გარდა იმათი ვალია აცნობონ  
ხალხს ადვილი საშვალებაები ამ სწეულები-  
საგან განთვისუფლებისა. ამისთანა სტატიები  
ადვილათ შეიძლება დაბეჭდოს ეხლა „სასო-  
ფლა ზაზეთში“, რომელსაც სოფლებში ბევ-  
რგან ჰკითხულობენ. ჩვენ გვყავს ეხლა მა-  
დლობა ღმერთს, ქართველთაგანი ნასწავლი  
ექიმები, რომელთაც ძალიან კარგათ შეუძ-  
ლიანთ ამ საქმის ასრულება და იმედი მაქტი,  
რომ ამისთანა სამადლო საქმისთვის ისინი  
კოტაონით შრომას არ თაშონინ.

ლმერთმა ქნას, რომ ამ ჩემთა სასოფებაშ ამა-  
ღლ არ ხიაროს.—

မြတ်သနပုဂ္ဂ

18 *Archiv*

1869 83

১২৩৩৬৬৩০ ৩৫৩৩৩০

ପ୍ରାଚୀ ମୁଦ୍ରଣ

ଶିରୀମିଳାନ ପିତ୍ରକର୍ମଦିବିନ, ଖୁବି କେ ପାଲନ୍ତିଲେ  
”ମେଘାନ୍ଦିତ ଲା ମେହାନ୍ଦିତ ଶାଖାଗାନ୍ଧିତାରେ “ଉନ୍ଦା  
ଗାମାରତିଲେ ଲ୍ରୋନିଲେ କ୍ରୋନିଲେ ଲା କୋଲିଲେ ମନ୍ଦ୍ୟା-  
ନିଲେ ଗାମିଲେ ଫ୍ରେନ୍କା ମୁଁ ଗାନ୍ଧିତାରେନା, ଲାସାଫ୍ରେନ୍କା-  
ଏଲୋନା, ମାଲୋନା ଶାଶାରଙ୍ଗେଥିଲେ ଲାରନ୍କିତାରେ ନିକ୍ଷେପ-  
ତାନିଲେବୁ; ଶାଖାଗାନ୍ଧିତ ହାନ୍ଦାନ୍ତିନିଲେ ମିନ୍ତାନ୍ତିଲେ

რიან კარგი, რომ კაცი გაიცნობს სხვა და  
ხელი ნახელავებს; მაგ. ეხლა შირიმში უნდა  
ითქანონ ლეინოები, ლეინის საკეთოები მასა-  
რები, სხვა და სხვა მხრის ხილები, უნდა  
ცნობონ იქ ერთმანერთს რარიგათ უკლიან  
ილს და სხვ. ამას გარდა, თუ კარგი ხილი, ან  
ფინო მოსდის ვისმე, შეუძლია მიიტანოს,  
რ გაგზავნოს გამოფენაზე და ამნაირად ამ  
ფინოს იქ გაიცნობენ და ბევრი მყიდველები  
დებინება.

სამზღვარს გარეთ გამოფენები თითქმის  
ოცელ წლობით არის ხოლმე: დიდი ხანი  
სარის დრეზდენში (საქსონიაში) იყო გამო-  
ფენა საფეხვაჭი იარაღებისა, ალტენ-  
ერგში იყო სამკავი და სათიბავი  
აშინება ბის გამოფენა. ამწელსა და გაისა-  
ქნება გამოფენები ლამბურგში ბალოსნი-  
სა, ალტონში პირუტყვებისა; ასე  
აშინჯეთ, შვეიცარიაში აპირებენ ხელითნაკე-  
ბი თრინგილიბის ბორიგების გამოიყენას.

առեւշտութեան

შფ. ჩიკალევი სწერს, რომ 1864 წ. მოი-  
ონა იმან მთესავი მაშინა, რომელიც ძლიერ  
ასარგებლოდ დარჩა რუსის მეოჯახეებისათვის.  
უშც ეს მაშინა ძალიან ცუდათ იყო პირვე-  
რად გაკეთებული, მაგრამ მეოჯახეებმა სხვა  
თისან შაშინ იბს მანაც ის აშშობინ ისა.

ჩიკალევის სიტყვით მაშინა მით სჯობია  
ხვებსა, რომ 1) ძალიან იაფია; უბრალოთ,  
ისგან გაკეთებული, ღირს 15 მან. და რკი-  
ისა 25-ათ. 2) ის სთესს ძალიან თანაწორიათ,  
სე რომ ამითი სხვა მოხსავ მაშინებს სჯობია.  
3) ისე უბრალოთ არის გაკეთებული, რომ  
ვირად წახდებაო და, თუ რამ წაუხდა, ყველას  
მუქმლიან იმის გაკეთება. 4) ძალიან მსუბუ-  
კია, ასე რომ ოთხ ფუთზე მეტს, თუ ბევრი  
კინა აჩარი გაჩეული შიგ, არ აიწონის.  
მათ ცხენს, რასაკერელია, ამისთანა მაშინის  
ტარება ძალიან თავისუფლათ და ადვილათა  
მეოქმლია.

Фаабархъба аз მაშინისა შეიძლება ამ აღრესით  
Смоленская Губ. Ельниковский уездъ, сел. Кру-  
тое, Владим. Никол. Чикалеву.—

სასარგებლო და გავნებელი ცხოველები

II

ხშირად გაუნათლებელი კაციც მიშვედარი  
გამოცდილებით-რომელი ფრინველი აჩვებდა  
და რომელი ავნებს მას, მაგრამ ხშირადაც  
სცდება ის ამაში.—ჩვენ მოვიყენთ აქ რამ  
დენსამე მაგალითს იმის საჩვენებლათ — თუ  
რითაა ზოგი ფრინველი სასაჩვებლო და ზო  
გი მავნებელი.—

საზოგადოთ ყველა ბუზანკალთ და მწერი  
მჭამელი ფრინველები ძალიან სასარგებლო  
არიან, ამიტომ რომ ჩევნ ყანებსა და ხეხი  
ლებს ანთავისუფლებენ საშინელ მტრები  
საგან. მარცვლის მჭამელ ფრინველს იმ წამს  
ვე შეეტყობა, მით რომ იმას ყოველთვი  
მაგარი და ფართო ნისკარტი აქვს; ამისთან  
ფრინველები არ არიან დასაზოგავი, რასაკვირ  
ველია, რადგან ბევრ ზიანს გვაძლევენ. ზო  
გიერთი ფრინველები, მაგ. ჩიტი, ორიგის

სჭამს, ბუზანკალსაცა და მარცვალსაც; ესენ  
მაგდენად მავნებელნი არ არიან, ამიტომ რო  
რაც მარცვალს სჭამენ, ორი იმდენი სარგებ  
ლობა ბუზანკალების გაწყვეტით მოაქვთ.—

დასაზოგადი არ არიან აფრეთებ ხორცი  
მჭამელი ფრინველები, რომლებიც აწყალებე  
ჩენ სასარგებლო შინაურსა და გარეგან პა  
ტარა ფრინველებს და სხვა ცხოველებს. ✓

მგალობელი ფრინველები საზოგადოთ სა  
სარგებლონი არიან ჩენი ყანებისათვის; იმა  
რბილს, ნაზს ნისკარტს რო შეხედოთ, იმ წარ  
სევ მიხედვით, რომ ამათ მარცვლის გარჩე  
ვა და შეჭმა არ შეუძლიათ და მარტო ბუ  
ზან ჯალების ყოველით უნდა ჩაიგდონინ.

ხორცის მჭიდრო ფრინველი საზოგადო  
ძალიან სძულს ჩვენსა და სხვა ხალხებსა  
ერთი სწავლული ნებეცი აი რას იმპობს ამ.  
ზე: „ჩვენში (გერმანიში) ისე სძულო მონ-  
დირე ფრინველები (ქარი, ორბი, არწივი

რომ, თუ მოჰკვლეს საღმე ის, ჩამოანცობენ  
ხოლმე ლობის სარჩე და ან სახლის კარითა  
ჩამოჰკიდებენ და ისე სიხარულით შეჰქონიერ-  
დენ — თუ გინდ თავისი მამაკვდინებელი მტე-  
რი მოკვლასთ; ეს ჩვეულობა მომაგონებს მე  
იმ ჩვეულებას, რომელიც ჰქონდათ ძველად  
და საზუალ საუკუნოებში; როცა რომელიმე  
ძალიან შესანიშნავ ავაზაქს, ან მცარცველს  
მოჰკლავდენ, ხალხის შესაზინებლად და თა-  
ვას საქებრად, ჩამოჰკიდებდენ ხოლმე ქალა-  
ქის ალაყაფის კარებთან და ისე ეკიდა სანამ  
სრულებით არ დალპებოდა. “ ამ ნაირი ჩვე-  
ულება იმერეთშიაც არის; იქ ხშირად სახ-  
ლის სახურავზე და ლობეზე ჩამოანცობენ  
ხოლმე ამისთანა ფრინველს სხვების დასაფრ-  
თხობლად. — მაგრამ ამათ რიცხვშიაც არიან  
სარგებლობის მოწტანნი; მაგალითათ, არიან  
იმისთანა მონადირე ფრინველები, რომლე-  
ბიც მარტო თავებზე და ვიზრაგვებზე ნადი-  
რობენ; ამათ, თუ არ სარგებლობა, ვნება არ  
მოაწეთ კავალირის. —

მაენგებელი ფრინველები არიან: არწივი, ქორი, ორბი, სხეა და სხეა გვარი მიმინოები, — ფარშევანგი, ალალი, ყარყატი, კაჭკაჭი და ზოგი სხეა. არწივი მიმინოები, ქორები, ფარშევანგი რომ მაენგებლები არიან ეს ყველამ იცის; რამდენ მეოჯახეს გული დაჭრუვეტია, როცა ქაომების მტერი ქორი დაჭცემია კარგა წამოზრდილს ვარიას, უსირცხვილოთ წაუვლია საწყლისთვის კლანჭები და ბასრი ნისკარტი და გაუტაცნია!-შინაურ ფრინველებს გარდა ისანი ემტერებან იმისთვანა გარევან ფრინველებსაც, რომლებიც ადამიანისთვის ძალიან მარგვბელნი არიან.

შოვლად სასარგებლო ფრინველებს ს ეკუთხნიან: სხვა და სხვა ნაირი ბუები, ძეროები, ბუზანკალო და ჭიებთ მჭამელი წვრილი ფრინველები, როგორც მაგალითად მერცხალი, კოდარა, გუგული, წყალ-წყალა, ნიბლია და ზოგი სხვაც.

ჩვენშიაც და სხვა ქვეყნებშიაც ბუს ყვირილისა ძალიან ეშინათ; ხალხს ჰგავნა, რომ, თუ ბუმ დაიყვარა რომელიმე სახლის სიხლის, უსათუოთ იმ სახლში ვინმე უნდა მოკვდეს. მე, რასაკირველია, სრულებით უსაფუძვლო აზრია; საიდამ უნდა მიხვდეს, თქვენი ჭირიმე, ბუ, რომ ამა და ამ სახლში უსათუოთ ვინმე მოკვდება. მე ცრუ-მორწმუნება იმისგან წარმოსდგა, რომ თუ რომელიმე სოფლის კაცის სახლში მძიმე ავათმყოფია, ხშირად იქ სანთელი, ან ცეცხლი უნთიათ და თუ ფანჯრიდან, ან კარებიდან სჩანს სინათლე, მაშინ ბუ მოპტრინდება ხოლმე სინათლეზე და დაიწყებს საზიზღარი ხმით ყვირილს; ხალხი ამ ყვირილს სულ უსაფუძვლოთ წინასწარმეტყველობის ნიშანს აძლევს; მართალია ბუს საზარელი ხმა აქვს: ის რო ჰყირის—კაცს ჰგავნა ვიღაც თხრაეს, ჰქენებისო, მაგრამ იმისი რა ბრალია ეს?

არც სასიმოვნო შესახედავია ის დალოცვილი: ხარისოლენა თვალებს აბრიალებს, ყურები გაუშეერია; მაგრამ არც ამაშია ის დამნაშავე. ამისთანა უბრალო რამებს ჭკუინმა კაცმა არაფერი მნიშვნელობა არ უნდა მიაწეროს.—

ბუ ბევრ გვარია; ჯერ ჩვენშია რამდენიმე გვარი; სხვა ქვეყნებში კიდევ უფრო ბევრ ნაირები არიან.—შოველ სოფლის კაცს უნდა უხაროდეს, თუ იმის სიახლოეს გაჩნდნენ ტყეში ბუები; ისინი გამოდიან სანალიროთ მარტო დამით და სჭამენ თავებს, ვირთხებს და დიდ-დიდ დამის მფრინავ ბუზანკლებს; თუ ჩაიგდეს ხელში, რასაკირველია, არც რომელიმე წვრილ ფრინველს დაზოგვენ; მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა მათვის. სწავლული-ჩუდი ამბობს, რომ ერთმა ბუმ ერთი დამის განმავლობაში მიუტანა თვის ბლარტებს თერთმეტი თავით; მეორე ბუ გავსჭრიო, ამზობს ჩუდი, და სამოცდა ხუთმეტი ხის მავნებელი ჭია უნახე იმას კუჭმიო. ამაზე უმეტეს სარგებლობას ვინ მოგვიტანს, მითხარით?

ამის გამო ეხლა განათლებულ ქვეყნებში

მიაქციეს ბუს ყურადღება და სცდილობენ ყოველი გზით მოშენონ და მოშინაურონ ის. ბუს მოშინაურება, როგორც ამბობენ, ძალიან აღვილათ შეიძლება; ერთს ფრანცუზს ჰყავდა მოშინაურებული ბუ, რომელიც ყველას ძალიან უყვარდა; იმის პრანჭეთ და გრეხით სიარული ყველას სიცილით ხეთქდა ხოლმე; ეს ბუ ისე მოშინაურებული იყო, რომ მოვიღოდა შენთან, ხელს წაგასმევინებდა, შენი ხელიდან მიირთმევდა საჭმელსა და სხვ. ის სჭამდა ყველაფერს, რასაც კი არ მიუტანდით, მაგრამ ხორცეული კი უფრო მოსწონდა.—შოველ დღე მიდიოდა თურმე ეს ბუ ბალში სანალიროთ და ისე გააწყალა იქ ბუზანკლები და ჭიები, რომ ერთსაც ვეღარ ნახავდით; ამას გარდა ბუს შემდეგ თავევებმაც იყლო თურმე.—ხადისხან, თუ ძალიან მოშივდებოდა, წიწილასაც წავლებდა თურმე ხელს, მაგრამ რა გაეწყობოდა, აპატივებდენ.—იმავე სწავლულს ჰყავდა მოშინაურებული ჭილყვავი, რომელიც ძალიან მეგობარი იყო შინაური ძალისა; ჩვენი ბუ კი ისეთ ნაირათ გაუმევებობრდა თურმე კატას, რომ ისინი ხშირიათ ერთად იწენენ ხოლმე. ჭილყვავსა და ბუს კი ძალიან სძულდათ ერთმანერთი, ასე რომ რა-მდენჯერმე შეეტაკენ კიდეც ერთმანერთს და წაერთოს ბალში და ისეთ ნაირათ დარბოდა, დაეძებდა ბუზანკლებს და დახტოდა იქით აქეთ, რომ ის მფრინავი კატა გეგონებოდათ.—მრთი სიტყვით ყოველი ოჯახის კაცისთვის თოახებში, ბალში და ბოსტნში ბუ ძალიან სასარგებლობ ცხოველია.—

პატარა ფრინველებთ შორის ბევრი სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის ბუზანკალო და ჭიების მჭამლებს, როგორც მაგალითად: კოდარა, მერცხალი, წყალ-წყალა (კუდ-ქანქალა), ნიბლია (ჯინჭრაქა), გუგული და სხვა; ამათ რიცხეს კუჭოვნის აგრეთვე ზოგი მგალობელი ფრინველები, როგორც მაგალითათ ბულბული, ტორუა და სხვა.

კოდარა ძალიან სძულობ ტყის პატრონებს,

იმიტომ რომ ისინი პხერეტენ და აფუტურო-ებენ ხეებს და ამით ხშირად აწერებოდა მაჟალის ტყესა, მაგრამ მართლაზე არ უავტირდოთ, იმათ ძალიან ბევრი სარგებლობა მოაქვთ, მით რომ ისინი სჭამენ ძლიერ ბევრ ხის ჭიებს, რომლებიც ტყეს საშინელ ზიანს აძლევენ ხოლმე.

მერცხალი ხალხს მიაჩნია მღვთის ფრინველად და ამიტომ იმის მოკველას დიდ ცოდვათ ჰოვლიან. მგონია ორიც არ მოიძებნებოდეს ისეთი სასარგებლო ფრინველი, როგორიც მერცხალია; ხალხი ძალიან კარგს შერება, რომ არ ჰავაცას და ეფერება იმას მთელს თავის სიცილებლეში დაჳფრინინაეს იმუდამ მიწის სიახლოე და-ვინ იცის-რამდენ ბუზსა და სხვა და სხვა მწერებს ჰყლაპავს ჯერ მარტო ერთი საათის განმავლობაში.

ბოლოს - ვთქვათ რამდენიმე სიტყვა გუგულ ზე და რომ არ მოელიც ძალიან შესანიშნავ ფრინველია მით, რომ ის თავის დღეში საკუთარ ბუდეს არ აკეთებს და არც თითონ შეილებს ზრდის; როცა კვერცხის დადების დრო მოაწევს, მიეპარება ხოლმე რომელიმე იმისთან ფრინველის ბუდეს, რომელშიაც იმის კვერცხების ფერი კვერცხები სდევს და დადებს შიგ თავის კვერცხსაც.

ადამიანისთვის გუგული ძალიან სასარგებლო ფრინველია; სწავლულებს რო გაუჭრიათ ის-გაკვირვებულან — იმდენი ჭიები და პეპლები უნახავთ იმის კუჭმი; ის სჭამს სხვათა შორის შხამიან ჭიებსა, რომლებსაც სხვა ბუზანკალთ მჭამელი ფრინველები ვერ ეკარებიან. მრთი სწავლული ნემეცი ამბობს, „ერთხელ რა-მდენიმე თვის განმავლობაში ვიდექ მე ერთს ტყეში, რომელსაც დასეოდნენ, ურიცხვი ჭიები და აფუჭებდნენ; ბოლოს მეშევნიშნე, რომ ჭიებმა იკლო და ისე აღა-აფუჭებდნენ ისინი ტყის ხეებსა. ჯერ ვერ მივხვდი-თუ რისაგან უნდა იყოს ეს; მერე კი, როცა ხშირ-ხშირად შემომესმა „გუ-გუ“, „გუ-გუ“, მე მიეხედი, რომ ეს უსათუოთ გუგულის წყალობა უნდა ყოფილიყო.“

ამ რიგათ ჩვენ ვხედავთ, რომ თვით ბუნება გვაძლევს საშუალებას მტრების მოშორებისათვის; ჩვენ უნდა შევიტყოთ მხოლოთ ვინარი ჩვენი მტრები და ვინ მევობარი და ამით სა და გვარად კიდეც უნდა მოვიქცეთ. ვთქვათ რომელიმე ცხოველი კანებისათვის, ბალისთვის, ან ვენახისთვის მავნებელია; ამ ცხო-

6. a.

შესაბამის იარაღი.

უკანასკნელი ამის დროს პმერიკაში მო-  
აუგა ერთნაირი იარაღი, რომლითაც ერთი  
თის განმავლობაში შეიძლება ამოიყვანონ  
ჭიდან, რა დროსაც უნდა, სასმელი, ან სხვა  
სთვისმე მოსახმარებელი, წყალი. მს იარაღი  
ინისაა და თოფის ლულასა ჰგაეს, მხოლოდ  
ზე უფრო მსხვილია. შიგნი ტუმბო, წყ-  
ას საქანელი (ნასოსი) არის მოწყობილი იმ  
ხრად რომ, როცა წყალში ჩასდებ და ტუმ-  
ბის ტარს ასწევ და ჩასწევ, წყალი დაწყებს  
ვით ამოდენას; ჯერ მღვრიე წყალი ამო-  
ს, მაგრამ შემდეგში ის თან და თან დაწ-  
ება, ასე რომ ნახევარ საათში ჩინებული სა-  
ელი წყალი ამოვა.

პირეელად ეს მაშინა, როგორც ზევით ეს-  
ვით, მოიგონეს ამერიკელებმა; მერე ანგ-  
იელებმა შეაკეთეს და აბესსინიაში ჩხუბის  
ორს შარქშან წინ ძალიან სასარგებლოთ და-  
რჩათ.—მხლა პრუსიაში კიდევ შეუცვლიათ  
გზუმჯობესებიათის.—

გულეჭარებენისას.—  
საღაც წყლის ამოყვანა უნდათ, ჯერ ამო-  
რლვავენ იქ მიწას და მერე ჩაუშობენ ამ  
შინას და მოიყვანებენ მოძრაობაში წყლის  
ქანელსა.— მაშინა სრულებრი მძიმე არ არის  
არც ძეირათა ღირს.— ჩხუბის და ცეცხ-  
ს ღროს ის ბევრ სარგებლობას მოიტანს;  
ჩეთვე სოფლებში, ფაბრიკებთან, რკინის  
ებისთვის ის ძლიერ სასარგებლოთ დარჩე-

საექიმო ცნობები

განცხადება პირუ ტყვიის ექი-  
ობის (ვეტერინარიი) კამი ტეტი-  
ვან. მრავალს ალაგას გაუჩინდა რუსეთში  
რუტყვეს ჭირი, რომელსაც ჰქვია სა-  
ლად თურქულა; გამოცდილია, რომ ეს  
ათმყოფობა გარდაედება კაცსაც, თუ იმან  
ათმყოფი პირუტყვისაგან მოწველილი ჩაძე-  
ოლია; თურქულა გამოაჩინდება კაცს პირში  
თ, რომ იქ გამოუდა პატარ-პატარა იარები. —

პშიტომ კამიტეტი აცხადებს საყოველთაოთ, რომ იქ, სადაც პირუტყვა თურქულ-თი არის ავათ, მოუღუდებელ რძეს ნუ იხმარებენ ნურუ საჭმლუში და ნურჩა სასპენათ.—

ଶ୍ରୀମତୀ ପ୍ରଦୀପାନ୍ତିକା ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ

Ցցրը յիշու Աթուզելուս հճյ զցը ոյխ ծավ-  
Շնօտցուս յալուս հճը մացոյրութաս; ոյս  
գցեցաս առ Ցցյուկուս պմաֆցուլուս հիցնա, ուսցը  
պցը լայցերս հօճա նչցութաս; պցը լամ ուրուս,  
հոմ ան գածագցեցուլու ծացմուս կցուքու հճուս թերւու-  
ցը հայցերս զցը մունցելոցն Եցորուանագ, ամուրո-  
մաց մալուան Կութատ Ցցրցեցուն հիցենթո, հոմ  
Ե՛մուրագ ծացմեա հոչ հճյ Ցցմուակլոցեա, Ցոյինս  
դա լցոնուս, ան հաս Երցեն Յոհանի դա ամուտ  
արհիցնցն; Բնոնաւաց Ցցյուջալ ցուուկցմես դա  
ցելաւ ցոմեռուցեա, հոմ ան գածագցեցուլու-  
ծացմուսատցուս հճյ մուցուլոցեցլու Սակուրոցեաս,  
հոմ ոմուս Տայսբու կցուքուսատցուս տուուն ցոյնցեցաս  
դայնութենոցս հճյ Սակուրագ, ամուրու Ցոյին  
ոմանի ունուցեա պուցել ցարու ոմուստան նախու-

ლები, რომლებიც ყდაწვილის აგებულებისათვის  
საჭიროა. აი რას ამბობს რძეზე ერთი გამოჩე-  
ნილი ყმაწვილების ექიმი-ბერნარი: „—მარტო  
რძეა ბავშისათვის იმისთვის საჭმელი, რომელ-  
საც შეუძლია იმის ცხოვრების გამაგრება; რძე  
შეიცავს ყველა იმისთვის ნაწილებს, რომლებ-  
გიც საჭირონი არიან სრიალის აშენ გბისათვის.

თუ დედა იმისთანა გარემოებაშია, რომ  
არც თითონ აქვს რძე და ვერც ძიძა  
უპოვნია, მაშინ შეიძლება შინაური პირუტყვა  
ვის რძით გამოზარდოს ბავში. ვირის რძე  
სუკველა შინაური პირუტყვების რძესა სჯობია;  
ყველა ცხოველის რძეზე უფრო მიუახლოვა  
დება ის ქალის რძეს; იმაში თითქმის ყველა  
ის ნაწილებია, რაც ქალის რძეშიაც; ამიტო  
მაც ის უფრო ადვილი მოსანელებელია, ვიდ  
რე სხვა ცხოველების რძე.—ვირის რძის შე

ମଧ୍ୟ ମାର୍ଗଦର୍ଶକ ହେଲା ଏହି ପତ୍ର ପାଇଁ ଆମେ  
ଲୋକ ଯାରୀରେ ନିର୍ଦ୍ଦେଖ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିବାକୁ  
ଦା ଅମିତ୍ତିରେ ଉତ୍ତର ଦେଇରେବ କେବଳାକୁଥିରେ ଦାଙ୍କ  
ଶିଳାତର୍ଫିଲେ ପ୍ରଦର୍ଶନ କରିବାକୁ ଆମେ କରିବାକୁ  
ଦା ଅମିତ୍ତିରେ ଉତ୍ତର ଦେଇରେବ କେବଳିଲା ଏହି  
କରିବାକୁ ଆମେ କରିବାକୁ ଆମେ କରିବାକୁ  
ନାହିଁ ଏହି (କରିବାକୁ ନିର୍ଦ୍ଦେଖ କରିବାକୁ)  
ଦେଇରେବ କେବଳିଲା ଏହି ପତ୍ର ପାଇଁ ଆମେ  
ଦେଇରେବ କେବଳିଲା ଏହି ପତ୍ର ପାଇଁ ଆମେ

რძეს, უნდა დასხათ ცოტა აღუღებული წევრობის  
ლი და შექარიც უნდა გაურიოთ.

დუქანში ნაყიდი რძე არასოდეს არ უნდა  
აჭამოთ ბავშვს, თუ არ გინდათ იმის ავათმყო-  
ფობა; ამიტომ რომ დუქნებში ყოველთვის  
ჰყიდიან ნაღებ ართმეულს, ან წყალ გარეულ  
რძესა და ამ ნაირი რძე უსათუოთ ავნებს  
ბავშვსა.—

ნიადაგ ერთი ძროხის რძეს აჭმევთ ბავშვს,  
თუ სხვა და სხვა ძროხებისას—ეს თითქმის  
სულ ერთია; მაგრამ მუდამ ერთი და იგივე  
ძროხის რძე კი სჯობია ყოველთვის, თუ შე-  
საძლებელია ეს.—მრთობ ბევრი აღუდებული  
წყალი არ უნდა გაურიოთ ხოლმე ძროხის  
რძეში, ამიტომ ჩომ მაშინ ცოტა ზეთი დარ-  
ჩება და ზეთის ნაკლებობა ცუდია.—

თბილ დღეებში-ზაფხულში-რო არ აიჭრას  
რძემ, უნდა ერთი სოდის ნაწილი გაურიო  
ორმოც წყლის ნაწილში და ეს ნარევი უნ-  
და ჩასხათ ძროხის რძეში; ერთს სტაქან რძე-  
ში ირო ჩას კოჩი სოდა მარა.—

ბევრი ჭამა ყოველთვის ვნებს ბავშს; აქედან წარმოსდგება ის, რომ იმას პირიდან ასაქმებინებს და ხშირად მოუშლის ხოლმე კუჭსაც; ჩვენში კი ჰგონიათ რომ, როცა ბავშს პირიდან წამოუვა რძე, ეს კარგია; ამაში სცდებიან. ყოველთვის დანიშნული უნდა ქონდეს ყოველ ბავშს დრო, როცა და რამდენი უნდა აჭამოს, როდის უნდა დაიძინოს, გამოიღიძოს და სხ. რასაკვირველია, ეს ბავშის აგებულებაზედ დააც ჯანმთელობაზედაც არის დამოკიდებული.—

ქოებით, ან სტაქნით არასოდეს არ უნდა  
აჭამოთ ხოლმე გაეშს; ყველას სჯობია შე-  
შის საწოვარი, რომელიც ყოველ აფ-



თექაში იყიდება. ტუჩის მოსაკიდებელი საწო-  
გარისა, რომელიც კაუჩუკისაგან (რიზინისა-  
გან), ან ძროხის ძუძუსაგან არის გაკეთებული,  
ურველთვის წმინდათ უნდა გქონდესთ; ყო-  
ველმოწოვის შემდეგ ის უნდა გარეცხოთ კა-  
რგათ და წმინდა აღავს შეინახოთ.—

### სხვა და სხვა აგგავი.

— შფროკარსკის გამოუგონია პეტერბურლ-  
ში წყალზე სახიარულო იარაღი. აი რანაირად  
არის მოწყობილი ეს იარაღი: გაკეთებულია  
ორი პატარა ბრტყელ- ფსკერიანი ნავები,  
რომლებსაც გამომგონი „კალოშებს“ ეძახის;  
ნავები ზევიდან დახურული არიან, მხოლოთ  
ერთს ადგილს არის დატოვებული ფეხის ჩასა-  
ყოფი ადგილი; ეს ორი ნავი იმნაირად არიან  
შეერთებულნი, რომ მოქაობას არ უშლიან  
ერთი მეორეს. — შიგნით თეოთოვეული ნავი  
იმნაირათ არის თურმე მოწყობილი, რომ ის  
არასოდეს არ გარდაბრუნდება წყალში.  
ბამომგონის მეტმა შიგნური მოწყობილობა  
ჯერ არივინ არ იცის. — მრივე ნავები ერთად  
აიწონიან 20 გირვანქას. გაზეთებში სწერენ,  
რომ უ. ტოკარსკი ერთს სააზე მეტი  
დაირებოდათ წყალზე თავის „კალოშებით“  
და ამ ამბავს ბევრი ხალხი შეჰქონდათ.—

შამილის სტამბოლში ყოფნაზედ გაზეთს  
„გოლის“-ში სწერენ, რომ სულთანს ჯერ  
აქამდინ არ გამოუცხადებია სურეილი იმისი  
ნახვისათ; და უთუოთ ელისო — რომ შამილმა  
სთხოვოს, რომ სულთანმა გააძლიეროს ისა  
და აღირსოს თავისი ნახვა, რათამცა სცეს თა-  
ვიანი ალლახის აჩრდილსა, დედამიწაზედან  
მყოფსა; მაგრამ შამილს იმდენი ამპარტავნე-  
ბა და თავის სიყვარული აქვს და ისეა დაჩვე-  
ული ყველასგან პატივის ცემასა, რომ არ  
ისურვა ძიება სულთანის ნახვისა, და ამის გა-  
მო ორივე იმამი — სულთანი და შამილი  
რჩებინ აქამდის ერთს ქვეყანაში ერთმანერ-  
თის უნახავნი და არც ერთი არ იმდაბლებს  
იქამდინ თავსა, რომ პირველმა გამოაცხა-  
დოს ნახვის სურეილი. შამილი თავისის ცოლ-  
შვილით იმყოფება სტამბოლში, და მოწიწე-  
ბით და სასოებით ახვევიან იმას მუსულმანნი,  
მოლლები და მეკანინენი, რომელნიც დი-

ლით სალამომდინ აესებენ იმის ზალასა. მრა-  
ვალნი ამათგანი მოდიან საკითხავათ, რომ  
შამილმა აუქსნას ამათ მრავალი სიტყვანი ყო-  
რანისანი, რომელნიც ამათ არ ეყურებათ.  
შამილიც დიდის ხალისით და სიამოვნებით  
უხსნის იმათ ყოველსაუკეთესოდ იმ გვარის ცოდნით,  
რომ დიდი ხანია აღმოსავლეთს აღარ გა-  
ვინია ამ გვარი ღრმა ცოდნა ყორანისა. სტა-  
მბოლში შამილს ქალი ჰყავს აეთ და ამას  
ელის. ის აპირებს მგვიპტეში წასელას და იქი-  
დამ ქაბას და შედინას-მაჰმადის კუბის თაყვა-  
ნის საცემლათ.

სახელმწიფო რჩევის კანონების დეპარტა-  
მენტი საერთო კრებაში და ს დვა ა ზ რ ი:  
1586 მუხ. დასჯაზე წესდებისა (გამოც.  
1866 წ.) უნდა შეიცვალოს ამ რიგათ:

„დედ-მამები, რომელნიც შემცნეულნი იქ-  
მნებიან შვილების ძალად დაქორწინებაში,  
დაისჯებიან ამისთვის საპყრობილები დამწყ-  
ვდევით ოთხი თეოდან ერთ წლამდი და ოთხ  
თვემდი, და, თუ ისინი ქრისტიანები არიან  
მიეცემან საეკკლესიო სინანულს, იმათი სა-  
სულიერო უფროსების განკარგულებით.—

„ამ ნაირადვე დაისჯებიან დედ-მამები, რო-  
მელნიც შემცნეულნი იქმნებიან თავის შვი-  
ლების ძალად ბერად კურთხევაში, ან ბერო-  
ბაზე შეცირების ფიცისთვის.“

ხელმწიფე იმპერატორმა ზემოსენებული  
აზრი სახელმწიფოს რჩევისა ამ წლის 12 მა-  
ისს უმაღლესად ინგა დამტკიცება.—

### სავაჭრო ცნობები.

შეირილისა და თბილისის შუა რკინის გზის  
რკინის ხიდების გასამართავათ არის საჭირო  
240,000 ფუთი სიმძიმის გადატანა.

სხვა და სხვა ხიდების იარაღების ზიდვა თა-  
ვის დანიშნულს ადგილმდინ უნდა დაიწყოს  
ამ წლის ოქტომბრიდამ და ყოველთვე უნდა  
მიიტანებოდეს 40,000 ფუთი.

იმ ნივთებისათვის, რომელნიც ასს ფუთ-  
ზედ მძიმე იქნება სახელმწიფო ურმები მიე-  
ცემათ.

ვისაც ამ პილრადის აღება ჰსურს, იმან თა-  
ვისი განცხადება უნდა გაგზავნოს ზაფავების

რკინის გზების მუშაობის მეუფროსესთან შე-  
თაისში.

მაკავასის პეტეთა მხრის პრიკაზის გადაწყვი-  
ტილებით, თელავის, მზურგეთის და დუშე-  
თის უეზდის სამართველოებში 20 ამ წლის ო-  
ტობების იქმნება ვაჭრობა მამულების გას-  
სყიდათ, რომელნიც ეკუთვნის ქვემო მოხსე-  
ნებულ პირებს; მამულები იყიდებიან პრიკაზი  
ვალში. 1) თელავის მოქალაქეს პლესანდრ  
ან ტონის ძეს პაზარის 1863 წ. 2,000 მანეთ  
ში დაგირავებულია ვენახი სოფელს რუს-  
პირს. 2) მ.მული პორუჩიკის თავ. პლესა-  
დავითის შეილის მაჭუტაძისა 1860 წ. 10-ა თა-  
მანეთში დაგირავებულია მზურგეთის უეზდ  
ში, სოფელს ნიგოეთში, ჰყონიგერში და  
მუხუთში.— 3) თავ. დავით ზურაბის ძის ხიდ  
შეივისა 1865 წ. 1,200 მანეთში დაგირავ-  
ებულია ვენახი დუშეთის უეზ. სოფ. ბულა-  
ვიდუში.—

შიდების მსურველს შეუძლია მიეიღეს ზე-  
მომხსენებულ უეზდის სამართველოებში  
და ნახოს ამ საქმეების შესახები ქალალდე  
და სიები.—

## საბიზუმილობრივი ცნობა.

ქართული აწიანი ა კირველი სასიმავაში ზიგნი,  
შეისაბამის გეორგი გამოიწვია, რიცხვთ ექვეთ ექვეთ ექვეთ და  
საქართველოს წიგნების გალაზიაში. გურია  
სასულიერო საქართველოს ქალაქებში გაიგებათ;